

2020-2021 | საქართველოს ჩემპიონატი

დიდი 10

ერთწლიანი გარდამავალი დებულება

ა. მონაწილე გუნდების რაოდენობა: 12

- 1 **ლელო სარასენს** თბილისი
- 2 **ბათუმი** ბათუმი
- 3 **აია** ქუთაისი
- 4 **ხარები** რუსთავი
- 5 **აკადემია** თბილისი
- 6 **ჯიქი** გორი
- 7 **ყოჩები** ბოლნისი
- 8 **იუნკერები** კიკეთი
- 9 **ლოკომოტივი** თბილისი
- 10 **არმაზი** მარნეული
- 11 **არესი** ქუთაისი
- 12 **ვეფხვები** პატარძელი

ბ. გათამაშების სისტემა

შეჯიბრება ტარდება სამ ეტაპად.

1. I ეტაპი: ჯგუფები

12 გუნდი ორ -- "ა" და "ბ" -- ჯგუფად დაიყო 2019-20 სეზონის დაუსრულებელი ჩემპიონატის შეწყვეტის მომენტში არსებული სატურნირო ვითარების მიხედვით:

ა	ბ
1 ლელო (1)	1 ბათუმი (2)
2 ხარები (4)	2 აია (3)
3 აკადემია (5)	3 ჯიქი (6)
4 იუნკერები (8)	4 ყოჩები (7)
5 ლოკომოტივი (9)	5 არმაზი (10)
6 ვეფხვები (12)	6 არესი (11)

1.1 თამაშები თითოეულ ჯგუფში გაიმართება ორ წრედ: მიმოსვლით -- შინ და გარეთ (10 ტური = ჯგუფში სულ 30 თამაში)

1.2 ჯგუფებში ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით.

1.3 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა თანაბარი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში.

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

ვ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ჯგუფის ორ წრეში.

2. II ეტაპი: ექვსეულები

2.1.1 "ა" და "ბ" ჯგუფების 3-3 მოწინავე გუნდი შექმნის ჩემპიონობისთვის მებრძოლ პირველ ექვსეულს.

2.1.2 "ა" და "ბ" ჯგუფებში IV-VI ადგილებზე გასული 3-3 გუნდი შექმნის დიდ 10-ში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლ მეორე ექვსეულს.

2.2.1 ექვსეულში თითოეულ გუნდს მიჰყვება ჯგუფში გამართული 4 მატჩის შედეგი: იმ ორ გუნდთან, ვისთან ერთადაც შევიდა ექვსეულში.

2.2.2 ექვსეულში თითოეული გუნდი გამართავს კიდევ 6 მატჩს: შინ და გარეთ ეთამაშება მხოლოდ სხვა ჯგუფიდან გამოსულ სამ გუნდს, ვისაც I ეტაპზე არ შეხვედრია.

2.2.3 ამით ექვსეულებში გასრულდება ორ-ორი წრე (10 ტური = 4 + 6)

2.3 ექვსეულებში ადგილები განაწილდება ამ ორ წრეში დაგროვილი ქულებით.

2.4 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა თანაბარი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი:

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ურთიერთ შეხვედრებში.

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთ შეხვედრებში.

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

ვ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ექვსეულის ორ წრეში.

3. III ეტაპი: პლეი'ოფი

პლეი'ოფში მონაწილეობს პირველი ექვსეულის ყველა გუნდი -- #1, #2, #3, #4, #5, #6.

3.0 პლეი'ოფში სამი ტურია.

3.1 I ტური -- მეოთხედ'ფინალი

3.1.0 ისვენებენ #1 და #2

3.1.1 #3 მასპინძლობს #6-ს

3.1.2 #4 მასპინძლობს #5-ს

3.1.3 წაგებულები სეზონს ასრულებენ:

უკეთეს-ნომრიანი იკავებს V ადგილს; უარეს-ნომრიანი იკავებს VI ადგილს.

3.2 II ტური -- ნახევარ'ფინალი

3.2.1 #1 მასპინძლობს #3 | #6 მოგებულს

3.2.2 #2 მასპინძლობს #4 | #5 მოგებულს

3.3 III ტური -- ფინალი

3.3.0 ფინალები ტარდება კავშირის მიერ ფინალებამდე სამი თვით ადრე შერჩეულ სტადიონზე.

3.3.1 ოქროს ფინალში თამაშობენ ნახევარ'ფინალთა მოგებულები.

3.3.2 ბრინჯაოს ფინალში თამაშობენ ნახევარ'ფინალთა წაგებულები.

3.3.3 ფინალთა შედეგად ადგილები ასე ნაწილდება:

I ოქროს ფინალის მოგებული -- გუნდი დაჯილდოვდება ოქროს მედლებით

II ოქროს ფინალის წაგებული -- გუნდი დაჯილდოვდება ვერცხლის მედლებით

III ბრინჯაოს ფინალის მოგებული -- გუნდი დაჯილდოვდება ბრინჯაოს მედლებით

IV ბრინჯაოს ფინალის წაგებული

3.4 პლეი'ოფში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი.

3.4.1 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში.

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში.

გ) რომელსაც უკეთესი ნომერი მიენიჭა პლეი'ოფის დაწყების წინ.

4. პირდაპირი დაქვეითება და დასარჩენი დუელი

4.1 II ეტაპის შედეგად მეორე ექვსეულის ბოლო სამი გუნდი (IV, V, VI ადგილოსნები) შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის პირდაპირ დაქვეითდებიან დიდი 10-დან პირველ ლიგაში.

4.1.1 ამ სამი გუნდის ნაცვლად შემდეგი, 2021-2022 სეზონის დიდ 10-ში აღზევდება 2020-2021 სეზონის პირველი ლიგის გამარჯვებული.

4.2 II ეტაპის შედეგად მეორე ექვსეულში III ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2021-2022 სეზონისთვის დიდ 10-ში დასარჩენად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2020-2021 სეზონის პირველ ლიგაში II ადგილზე გასულ გუნდს.

4.2.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია პირველი ლიგის გუნდი.

4.2.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით. ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება.

4.2.3 ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი:

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

ბ) რომელსაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) აღმოაჩნდება ამ ორ მატჩში.

გ) დიდი 10-ის გუნდი.

გ. სავარაუდო ვადები

1. 2020 წლის ოქტომბერი – 2021 წლის მაისი.

2. პლეი-ოფი ჩატარდება 2021 წლის აპრილ – მაისში.

:::